პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

7 აგვისტო, კვირა, 1988 წ.
№ 152 (9819) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სსრ კავშირის ჩემპიონატი სინქრონულ ცურვაში

# სეულის ოლიმპიადის ნაღდი კანდიდატი

**თბილისელი** ხრისტინა ფალასანიდი თავდაპირველად საბჭოთა ოლიმპიური გუნდის კანდიდატად წყვილთა ასპარეზობაში ითვლებოდა, მაგრამ მან წლეულს იმდენად დახვეწა ოსტატობა, რომ ნაკრების ხელმძღვანელობამ ერთეულთა თანრიგშიც საბჭოთა გუნდის კანდიდატად მიიჩნია. ერთეულთა ასპარეზობაში ნაკრების ღირსების დაცვა კი ყველას ოცნებაა, აქ მოპოვებული წარმატება სინქრონული ცურვის ოსტატებს გაცილებით პრესტიჟულად მიაჩნიათ.

ხრისტინა ნაკრებში საბოლოოდ ადგილის დასამკვიდრებლად ყველა ასპარეზობაში ამართლებდა მწვრთნელთა იმედებს.

ამ მიღწევებზე თავის დროზე ვიუწყებოდით, მაგრამ მერე კარგა ხანს იგი უცხოეთში გაემგზავრა და იმ ასპარეზობათა შესახებ ჩვენ არავითარი ინფორმაცია არ მიგვილია.

ფალასანიდი თბილისში საკავშირო ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე დაბრუნდა და მისი უცხოეთში გამოსვლების შედეგებიც შევიტყვეთ.

„რომის თამაშებში“, რომელიც დიდი საერთაშორისო ტურნირი გახლდათ, ხრისტინამ ერთეულთა ასპარეზობაში მესამე ადგილი დაიკავა. იგი ამ სახეობაში, საბჭოთა სპორტსმენთა შორის, საუკეთესო აღმოჩნდა.

მერე იტალიიდან ესპანეთში გაემგზავრა და დიდ საერთაშორისო ტურნირში ჩაება. ეს ტურნირი იმდენად წარმომადგენლობითი აღმოჩნდა, რომ მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატად [illegible] აქ ხრისტინამ ერთეულთა შეჯიბრებაში მეოთხე ადგილი დაიკავა. მეოთხე იყო წყვილთა ასპარეზობაში, [illegible] დგენელ ულენა ფაშეესკაიასთან ერთად გამოვიდა. ამ სახეობებში ხრისტინა საბჭოთა სპორტსმენებს შორის კვლავ უძლიერესი აღმოჩნდა.

ამას მოჰყვა სეულის ოლიმპიური კვირეული. სამწუხაროდ, ხრისტინა იქ გვიან გაემგზავრა. არადა, სეულში შეჯიბრება, რატომღაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, „უკულმართად“ ჩაუტარებიათ. თავდაპირვე-

იხ. მე-4 გვ.



# თეა ლანჩავა მსოფლიო ჩემპიონია

**რუმინეთის** ქალაქ ტიმიშოარაში მიმდინარე სხვადასხვა ასაკის მოზარდ მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატებში, ბოლო ტურის წინ ჩემპიონის ოქროს მედლები გაინაღდეს: 14-წლიანებში ჩვენმა თანამემამულემ, თბილისელმა ოსტატობის კანდიდატმა თეა ლანჩავამ (მწვრთნელი გია ცქიტიშვილი), ხოლო 16 წლის ასაკის მოჭადრაკეთა ტურნირში შარშანდელმა ჩემპიონმა, ოსტატობის კანდიდატმა ალისა გალიამოვამ. (მოსკოვის ოლქი).

სურათზე: თეა ლანჩავა.

# ვლადიმერ ადამაშვილის ორი გამარჯვება

**ჩვენ** უკვე ვიუწყებოდით იმის შესახებ, რომ საბჭოთა ველოსიპედისტები ამხანაგურ შეხვედრებს ატარებენ ჩინეთში. რამდენიმე დღით ადრე პეკინში გამართულ სტარტებში თავი გამოიჩინეს საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებმა ერიკა სალუმიაემ და ნიკოლოზ კოვშმა. მათ მოიგეს სპრინტერთა ტურნირი და ყველა გიტი.

საბჭოთა და ჩინელ ველოსიპედისტთა მეორე შეჯიბრება ქალაქ ტაიუანის ტრეკზე ჩატარდა. ამჯერად პროგრამაში იყო გიტი 200 და 500 მეტრზე. ორივე სახეობაში უძლიერესი თბილისელი ვლადიმერ ადამაშვილი გახლდათ. ქალთა შორის კი გამარჯვება არავის დაუთმო ტალინელმა ერიკა სალუმიაემ.

ჩინელმა ველოსიპედისტებმა რამდენიმე ეროვნული რეკორდი გააუმჯობესეს.

# სამზადისი და „ოქროს დებიუტი“

**წყალთხილამურები,** სპორტის ეს თანამედროვე, დინამიური სახეობა, სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს ჩვენშიც და უცხოეთშიც. თვალნათლივ გამოიკვეთა ამ სახეობის ოლიმპიური პერსპექტივაც, ასე რომ, ახლა უფრო მეტი გარჯა გვმართებს. სადღეისოდ, უპირველეს ყოვლისა, ბაზების ქსელის გაფართოებაზე უნდა ვიზრუნოთ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით უნდა გააქტიურდეს მუშაობა სამხრეთის რეგიონებში — აქაურ კლიმატურ პირობებში ხომ, ფაქტობრივად, მთელი წლის განმავლობაში შეიძლება ვარჯიში, წარმატების მიღწევის საფუძველი კი, მოგეხსენებათ, სწორედ ასეთი, სასწავლო-საწვრთნელი პროცესის უწყვეტი, წლიური ციკლია. მაგალითისთვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება, გავიხსენოთ საქართველოს წყალთხილამურეთა სწრაფი პროგრესი და მათი ბოლოდროინდელი მიღწევები — საქართველოს წყალსათხილამურო სპორტის




ფედერაციის გაფართოებულ პლენუმზე განაცხადა წყალსათხილამურო სპორტის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარემ, გაზეთ „პრავდის“ მთავარმა რედაქტორმა, აკადემიკოსმა ვიქტორ აფანასიევმა.

გაფართოებული პლენუმის დღის წესრიგის უმთავრეს საკითხზე —

იხ. მე-2 გვ.

მთამსვლელობა

# აღორძინების დასაწყისი

**ამ** დახვედრამ ორმოცდაათიანი წლების მიწურული გამახსენა, როცა თბილისის აეროდრომზე პამირის მთიანეთიდან დაბრუნებულ გამარჯვებულ ქართველ მთამსვლელებს ვეგებებოდით, გამახსენდა ჩვენი ალპინიზმის მძიმე, ულმობელი დროც იმ ოქროსა და ვერცხლის ხანას რომ მოჰყვა... და აი, კვლავ წარმატება. უფრო კი მას აღორძინების დასაწყისი შეიძლება ეწოდოს, რადგან ამ ახალგაზრდულ ექსპედიციას წონადი სიტყვა ჯერ არ უთქვამს, იგი მხოლოდ ახლა შლის ფრთას, რაც ოპტიმიზმის მყარ საფუძველს წარმოადგენს. ახლა კი პირველი ნაბიჯია გადადგმული მომავალი დიდი გამარჯვებებისაკენ.

რაც შეეხება წლევანდელ ასვლებს, რომელიც საქართველოს სპორტსახკომისა და მთამსვლელთა ფედერაციის ახალგაზრდულმა ჯგუფმა განახორციელა, ჩვენი მკითხველისთვის უკვე ცნობილია. პირველ 14-კაციან ასვლაში კორჟენევსკაიას პიკზე (7.105 მ) მონაწილეობდნენ: ექსპედიციის ხელმძღვანელი და უფროსი მწვრთნელი, სპორტის ოსტატი რომან გიუტაშვილი, სპორტის ოსტატობის კანდიდატები გია დვალი, გელა ოთარაშვილი, ბესო ქამაკაშვილი, გივი გიგაური, გიორგი ქუმსიაშვილი, ალექსანდრა კობაიძე, იდრის ხერგიანი, აფი გიგანი, ამირან დოლიძე, დავით იოსელიანი, დავით სააკაძე, გია თორთლაძე, დავით სვანაძე. სამაშველო სამსახურს ხელმძღვანელობდა სპორტის ოსტატი თამაზ ბაქანიძე.

— მწვერვალზე გავედით 7 ივლისს, — გვითხრა რ. გიუტაშვილმა, — და ხელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში 12 ივლისს უკვე ავედით პიკზე. ექვსი დღის შემდეგ კი ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ რ. გიუტაშვილი, მ. გიგაური, ა. გიგანი, გ. დვალი, ა. დოლიძე, ა. კობაიძე, გ. ქუმსიაშვილი, ი. ხერგიანი და თამაზ შარაშენიძე, რომელიც გვიან შემოუერთდა ჯგუფს, ჩრდილოეთ ფერდით, ვალტერის მყინვარიდან შეუტია ჩვენი ქვეყნის უმაღლეს მწვერვალს — კომუნიზმის პიკს (7.495 მ). აქ უკვე ამინდმა არ შეგვიწყალა და მძვინვარე ქარიშხალში მოგვიხდა სიმაღლის დაძლევა. 26 ივლისს ჯგუფი მთლიანად ავიდა მწვერვალზე.

— ექსპედიცია მიზნად ისახავდა, — თქვა საქართველოს მთამსვლელური ფედერაციის თავმჯდომარემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა სარგის ცაიშვილმა, სასიმაღლო ასვლებში ახალგაზრდობის მასობრივ გამოცდას, რასაც ჯგუფმა ბრწყინვალედ გაართვა თავი. უნდა ითქვას, რომ ამ სიმაღლეზე, ასეთი მასობრივი ასვლა ქართველ მთამსვლელებს ჯერ არ ჰქონიათ. ამასთან, შესრულდა მოთხოვნათა ერთ-ერთი პუნქტი საკავშირო ნაკრებში მოსახვედრად. ჯგუფის ერთსულოვნება და შემდგომი დაოსტატება მომავალ დიდ გამარჯვებათა საწინდარი უნდა იყოს.

ჟ. უნგიაძე.



# ამენებული ვანგრიოთ თუ...

## მარტივი ტიპის მოედანი რთულ სიტუაციაში

წითელი ბარათი — ბიუროკრატიზმს!

გარდაქმნისა და საჯაროობის პერიოდში აღარ უნდა არსებობდეს ე. წ. „ქაღალდების ომები“, მაგრამ, სამწუხაროდ, ახლო წარსულის ეს მძიმე „მემკვიდრეობა“ ჯერაც ხშირად გვახსენებს თავს. ასე რომ, კიდევ მრავალწლიანი უკომპრომისო ბრძოლა მოგვიწევს, სანამ ბიუროკრატიზმს მის ამ „მთავარ იარაღს“ გავაგდებინებთ ხელიდან.

მძიმე დანაშაულზე მსჯელობისას იტყვიან ხოლმე, საქმემ ამდენი და ამდენი ტომი შეადგინაო. ალბათ, ზოგიერთ საქმეს არ ჩამოუვარდება ის სარედაქციო საქაღალდე, რომელსაც სამი სიტყვა აწერია: „ჭომის მოედნის მახალები“. არადა, საკითხი, ერთი შეხედვით, უბრალო და იოლად გადასაწყვეტი, ვერა და ვერ გადაწყდა, ვნებათაღელვა ისევ გრძელდება და ვინ იცის, როდის დასრულდება. ვიმედოვნებთ, ამ წერილის გამოქვეყნებას დალაგებული, გააზრებული, სწორი და საბოლოო პასუხი მოჰყვება, ჯერჯერობით კი ერთი დაწესებულებიდან გამოგზავნილი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული პასუხები ისე უპირისპირდებიან ერთმანეთს, როგორც ჭომის უბნის მცხოვრებნი მათ ავტორებს.

### გიტოვებთ, მაგრამ... არ გიტოვებთ

**რაიმე** განსაკუთრებული, სენსაციური ამბით არ ვაპირებთ მკითხველის ყურადღების მიპყრობას. საქმე ეხება ქუთაისში, ცნობილ ჭომის უბნის დასახლებაში არსებულ ერთ პატარა, მაგრამ ძალიან საჭირო სპორტული მოედნის „ყოფნა არყოფნის“ საკითხს.

არადა, თავის დროზე ეს მოედანი ძვირფასი საჩუქარივით მიართვეს ამ უძველესი უბნის მცხოვრებლებს, რომლებიც, სხვათა შორის, „ქალაქის მამების“ ყურადღებით მაშინ კი არა, დღესაც ვერ ნებივრობენ...

ერთი სიტყვით, ეს სპორტული მოედანი 1971 წელს სრულიად კანონიერად „მოევლინა“ ჭომას. იყო ქალაქის აღმასკომის გადაწყვეტილება, გამოჩნდნენ დამფინანსებლებიც და ქალაქის კომუნალური მეურნეობის სამშენებლო სამმართველომ მოაწყო კიდეც იგი. ასე „იშვა“ ჭომელი და არამარტო აქაური ახალგაზრდების საყვარელი გასართობი ადგილი. იგი პაერივით სჭირდებოდა და დღესაც სჭირდება იმერეთის რეგიონში არსებულ ერთადერთ სანიჩბოსნო ბაზას, მით უმეტეს ახლა, როცა დღის წესრიგში დადგა მისი გაფართოებისა და კეთილმოწყობის საკითხი.

და აი, იმ დროს, როცა ყველას ეგონა, ჭომის ეს „დედისერთა“ მარტივი ტიპის მოედანი კიდევ უფრო კეთილმოეწყობოდა (სხვათა შორის, აქაურ მცხოვრებლებს არაერთხელ უცდიათ საკუთარი ძალებით მისი მოწესრიგება), მოექცეოდა ბაზის ერთიან სისტემაში და ეს კუთხე კეთილმოწყობილ კომპლექსად იქცეოდა... ატყდა დავიდარაბა და მერე როგორი! ამ

იხ. მე-2 გვ.

**ბელგრადი.** 18 წლამდე ასაკის ჭაბუკ მაგიდის ჩოგბურთელთა ევროპის ჩემპიონატი მოიგო სსრ კავშირის ნაკრებმა, რომელშიც გამოდიოდნენ: გორკელები დიმიტრი მაზუნოვი და დიმიტრი გუსევი, ერევნელი სამველ ვარდანიანი, დივნოგორსკელები მაქსიმ შმირიოვი და დიმიტრი სამსონოვი. ჩვენმა გუნდმა ფინალში რუმინელ მაგიდის ჩოგბურთელებს სძლია — 5:0.

**ვარშავა.** თანამედროვე ხუთჭიდელ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის მესამე დღეს მოცურავეთა შეჯიბრება გაიმართა, რომელიც უნგრელმა ანდრეა ტულოკმა მოიგო — 2.15,37. სამი დღის შემდეგ ლიდერობას პოლონელი დოროტა იძი ინარჩუნებს — 3.298 ქულა. გუნდურ ჩათვლაშიც წინ პოლონელი ხუთჭიდელები არიან.

**მონტე-კარლო.** მძლეოსანთა აქ მიმდინარე დიდ საერთაშორისო ტურნირში („ერკიულეს — 88“) თავი გამოიჩინა ამერიკელმა სიგრძეზე მხტომელმა ლარი მირიკსმა. პირქარის (0,7 მეტრი წამში) მიუხედავად, მან 850 სანტიმეტრი დასძლია.

# საქართველოს ნაკრებით...

**კლასიკურ ჭიდაობაში** ჩეხოსლოვაკიის დიდი პრიზის გათამაშებაში სსრ კავშირის წარმომადგენლად მიწვეული იყო საქართველოს ნაკრები გუნდი. ორი გამარჯვებული, ერთი მეორე და სამი მესამე ადგილი — ასეთია ჩვენი სპორტსმენების მონაპოვარი. გუნდში სულ 7 ფალავანი გამოდიოდა. ტურნირი მოიგეს ბ. დარჩიამ და თ. თედორაძემ, მეორე იყო ვ. ონიანი, მესამე — გ. პაპაშვილი, ნ. დვალიძე და ზ. ცხადაძე (ვრცელ ინფორმაციას მოგაწვდით „ლელოს“ უახლოეს ნომერში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აშენებული ვანგრიოთ თუ...

(დასასრული)

ხნის განმავლობაში ღვთისგან და კაცთაგან გამეტებული ეს მოედანი ხელიდან ხელში გადადის და დღესაც არავინ იცის, ვინ გაიმარჯვებს ამ „ქაღალდების ომში". და ვის დარჩება იგი — ამ უბნის მცხოვრებლებს, რომლებიც, ჩვენი აზრით, სავსებით სამართლიანად მოითხოვენ მის შენარჩუნებას, ნიჩბოსნებს, ამ მოედანზე საერთო ფიზიკურ მზადყოფნას რომ იუმჯობესებენ თუ იმათ, ვისაც სურს ეს სიმწრით და დიდი გარჯით მოწყობილი მოედანი ჯერ დაანგრიონ, შემდეგ იქვე, რიონისპირა ჭაობში გადაიტანონ, ეს მოასფალტებული მოედანი კი მავანთ და მავანთ, რომელთაც რატომღაც მხოლოდ ამ ადგილზე სურთ დასახლება, სამოსახლოდ გადასცენ.

არა, ისე არ გაგვიგოთ, თითქოს ქუთათურების გამრავლება-გაფართოების წინააღმდეგი ვიყოთ. ღმერთმა დაგვიფაროს! მით უმეტეს ახლა, როცა ქალაქში წარმატებით ხორციელდება პროგრამა „ბინა", რომელიც საშვილიშვილო მიზანს ისახავს — საუკუნის დამლევამდე საცხოვრებელი ბინით დააკმაყოფილოს ყველა მსურველი, მაგრამ ამ საშვილიშვილო ამოცანის განხორციელებაში თვითონ შვილიშვილები და შვილთაშვილები არ უნდა დავივიწყოთ (ჩვენ კონკრეტულ შემთხვევაში, აუტკივარი თავი არ უნდა ავიტკივოთ, ე. ი. არსებული მოედანი უნდა შევინარჩუნოთ და გავაუმჯობესოთ, თორემ, ვინ იცის, როდის აშენდება ახალი. თუ მაინცა და მაინც, ჯერ ეს ახალი ავაშენოთ და ძველი მერე დავანგრიოთ). ჩვენ შთამომავლობას არანაკლებ დასჭირდება მოედნები, სპორტული კომპლექსები, სტადიონები, უბრალოდ, მუხლის გასაშლელად გამოსადეგი სივრცეები, რომლებითაც, სამწუხაროდ, ქუთაისი დიდად ვერ დაიტრაბახებს. ეს ცალკე, არანაკლებ სერიოზული და მწვავე საუბრის თემაა, რადგან ქალაქისთვის, განსაკუთრებით მისი ახალი მიკრორაიონებისთვის თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, ამ პრობლემის მთელი სიმწვავე რომ ვიგრძნოთ, თუმცა სათქმელს გადავუხვიეთ... ცნობამ მოედნის დანგრევის შესახებ, ბუნებრივია, უბნის მცხოვრებთ გული ატკინა და ასე იშვა პირველი კოლექტიური თხოვნა-მიმართვა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელებისადმი. ამ მიმართვაში საკმაოდ მორიდებულად იუწყებიან:

„ლესელიძის ქუჩის II შესახვევის გაგრძელებაზე დაგეგმარდა ახალი რაიონი ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის... აქ არსებობს მარტივი ტიპის სპორტული მოედანი ფართით 1850 კვადრატული მეტრი (საბარჯთაღრიცხვო ღირებულება 67 ათასი მანეთი). ამ მოედანზე სისტემატურად ვარჯიშობენ უბნის მცხოვრებლები, ახალგაზრდები, ნიჩბოსნობის სკოლის აღსაზრდელები.

როგორც განაშენიანების გეგმიდან ირკვევა, სპორტულ მოედანზე დაგეგმარდა ორი ნაკვეთი (№ 14 და № 15) კერძო მფლობელებზე გასაცემად. აღნიშნულმა ფაქტმა უბანში დიდი გულისწყრომა და უკმაყოფილება გამოიწვია.

უბანი გთხოვთ მიიღოთ საჭირო ზომები და დაგვიტოვოთ სპორტული მოედანი. გთხოვთ ასევე დაგვეხმაროთ მისი კეთილმოწყობის გეგმის შედგენაში. მოგეხსენებათ, ჭომა ქალაქის ერთ-ერთი დიდი და ძველი უბანია, ცუდად გვემსახურება საქალაქო ტრანსპორტი, ნაკლებად გვაქვს საყოფაცხოვრებო ობიექტები, სპორტული ბაზები და მოდით, აშენებულს მაინც ნუ დავანგრევთ"...

წერილს ერთვოდა ამონაწერები სადირექტივო ორგანოების დადგენილებებიდან, რომლებშიც მითითებულია, რომ აუცილებელია მარტივი ტიპის სპორტული მოედნების ქსელის გაფართოება, მათი კეთილმოწყობა და არსებულთა შენარჩუნება.

ჭომელები მარტო თავიანთ მორიდებულ „არზას" ვერ ენდნენ და № 246 საარჩევნო უბნის დეპუტატს, ალმანახ „განთიადის" მთავარ რედაქტორს, ჩვენ სასიქადულო მწერალს რეზო ჭეიშვილს და № 14 საუბნო კომიტეტის თავმჯდომარეს ნ. გოდუაძეს მიმართეს დასახმარებლად. მათ საფუძვლიანად შეისწავლეს ვითარება, საჭიროდ, აუცილებლად მიიჩნიეს მოედნის შენარჩუნება და სათანადო მოხსენებითი ბარათითაც მიმართეს ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარეს ვ. ოყრეშიძეს. ბუნებრივია, ამ მოედნის ბედით ქალაქის სპორტის მესვეურებიც დაინტერესდნენ (უბანში ხომ მხოლოდ ეს ერთი მარტივი ტიპის მოედანია) და საქალაქო სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობამ კიდევ ერთი თხოვნა გაუგზავნა თავმჯდომარეს.

ერთი სიტყვით, სასწორზე ბედშეგდებულ ამ მოედანს პატრონი გამოუჩნდა, მასზე ფიქრობდნენ და ზრუნავდნენ. პირველი პასუხი, რომელშიც ქალაქის მთავარი არქიტექტორისაგან ბ. გოლუბჩიკოვისგან მოვიდა, დიდად საიმედო იყო... „თქვენს კოლექტიურ განცხადებაზე, რომლითაც მოითხოვთ საცხოვრებელი სახლების მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნის შენარჩუნებას, გაცნობებთ, რომ კომისიური შესწავლის შემდეგ თქვენი პრეტენზია (ხომ არ ჯობდა ამ სიტყვის ნაცვლად არქიტექტორს ეხმარა სიტყვა — „თხოვნა" — რედ) მხედველობაში იქნა მიღებული და სპორტული მოედანი შენარჩუნებული იქნება არსებული სახით, ახალდასახლების პროექტში შეტანილი იქნება სათანადო ცვლილება".

ამას მთავარი არქიტექტორის მეორე პასუხიც მოჰყვა: „...თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ პროექტირებისას გათვალისწინებული იქნება არსებული სპორტული მოედნის ირგვლივ გამწვანებისა და მისასვლელი გზების მოწყობა".

თითქოს ყველაფერი გაირკვა, სამართლიან მოთხოვნას საკმაოდ დამაჯერებელი და საიმედო პასუხი გაეცა და ამ „მცირე ინციდენტს" გაღრმავება არ ემუქრებოდა. მაგრამ, ვაი, რომ ამ პერიოდში ვნებათაღელვა ერთი დღითაც არ დამცხრალა. მათი ქრონოლოგიური სიზუსტით აღწერა დიდ დროს წაგვართმევს, უმჯობესია, აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილის გ. წულაძის პირადი ხელმოწერით გაგზავნილი საკმაოდ ძნელად გასაგები ბარათი გაგაცნოთ (სტილი დაცულია):

„თქვენი კოლექტიური განცხადების პასუხად, რომლითაც მოითხოვთ ლესელიძის ქუჩის მე-2 შესახვევში მცირე ტიპის სპორტული მოედნის შენარჩუნებას, გაცნობებთ, რომ ნიჩბოსნობის საწვრთნელი ბაზის ტერიტორიის მომიჯნეთ გათვალისწინებული ინდივიდუალური ბინათმშენებლობსათვის 2 ნაკვეთი მიუხედავად იმისა, რომ ბაზისათვის ამჟამად საჭიროებას არ წარმოადგენს გაუქმებული იქნა, ხოლო რაც შეეხება ლესელიძის ქ. მე-2 შესახვევში № 14 და № 15 სამოსახლო მიწის ნაკვეთებს, როგორც ქუჩის მოშენების ზოლი დატოვებული იქნა. მიუხედავად იმისა, რომ ნიჩბოსნობის ბაზის ტერიტორიაზე არსებული ფეხბურთის მოედანი თქვენთვის ხელმისაწვდომია და დღეისათვის დაუტვირთავია, მაინც ვითვალისწინებთ თქვენს თხოვნას, რადგან სურვილი გაქვთ შეინარჩუნოთ მინიშნებული მოედანი, ამიტომ იგი დატოვებული იქნება ისე, რომ ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის გათვალისწინებული ნაკვეთები რამდენი მეტრითაც შეიჭრება სპორტული მოედნის ტერიტორიაზე იმდენითვე გაფართოვდება იგი სამხრეთის მხრიდან, ჩვენივე ხარჯებით"...

ამ „მაღალი ჩინოვნიკური სტილით" შედგენილ წერილს (რომლის ყველა პუნქტი ფრიად საკამათოა, მაგრამ, უმჯობესია, დისპუტი მომავლისთვის გადავდოთ: შესაძლოა გ. წულაძემ ისეთი წერილი გამოგვიგზავნოს, პასუხის გაცემა კვლავ დაგვჭირდეს) ქალაქის მთავარი არქიტექტორის არანაკლებ გაუგებარი ბარათი მოჰყვა: ხუროთმოძღვარს თვალიც არ დაუხამხამებია, ისე უარყო თავისი პირვანდელი მოსაზრებები და ახალი „იდეები" შესთავაზა უბნის მცხოვრებლებს, თუმცა ამ პასუხს თუ დაუკვირდებით, ადვილად მიხვდებით მერყეობის მიზეზს (სტილი აქაც დაცულია):

„თქვენი კოლექტიური განცხადების პასუხად, რომლითაც მოითხოვთ ლესელიძის ქ. მე-2 შესახვევში მცირე ტიპის სპორტული მოედნის დატოვებას, განხილული იქნა და გაცნობებთ, რომ ლესელიძის ქ. მე-2 შესახვევში № 14 და № 15 სამოსახლო ნაკვეთები, როგორც ქუჩის მოშენების ზოლი დატოვებული იქნა, ასევე შენარჩუნებული იქნა სპორტული მოედანი ისე, რომ ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის გათვალისწინებული ნაკვეთები რამდენ ფართსაც ჩამოაჭრის სპორტულ მოედანს, იგივე ფართით გაფართოვდება სპორტული მოედანი სამხრეთის მხრიდან..."

### ვინ რისთვის არის მოწოდებული...

**ასეთმა** ურთიერთსაწინააღმდეგო და საკმაოდ ძნელად გასაგებმა პასუხებმა უბნის მცხოვრებლებს კვლავ აღებინა ხელში კალამი და მათ სპორტსახკომის ხელმძღვანელებს და „ლელოს" რედაქციას მიმართეს. ჩვენ კიდევ ერთხელ ვეწვიეთ ქუთაისს, კვლავ მოვინახულეთ ჭომის ნიჩბოსნობის ბაზაც და ეს ბედკრული, ყბადაღებული და „წერასატანილი" მარტივი ტიპის სპორტული მოედანი, საქაღალდე წარწერით „ჭომის მოედნის მასალები" ახალი დოკუმენტებით შეივსო, ამჯერად ზედმეტად მივიჩნიეთ „დანგრევის" მომხრეთა შეწუხება, რადგან მათი აზრი ამ წერილებიდანაც კარგად ჩანს. ჩვენი გაზეთი კი სწორედ იმისთვის არის მოწოდებული, რომ ხელი შეუწყოს ახალი სპორტული მოედნების, ბაზების მშენებლობას, აგებულის შენარჩუნებას და კეთილმოწყობას.

ჩვენ არ გვიცდია უფრო დაწვრილებით გაგვეანალიზებინა ამ „ქაღალდების ომის" ყოველი დეტალი, ისედაც უამრავ შეუსაბამობას და დასაზუსტებელ საკითხს წავაწყდით. უბრალოდ, შევეცადეთ ამ „ეპისტოლარული დუელის" ფონზე წარმოგვედგინა ამ ბედშავი მოედნის ირგვლივ ამტყდარი ვნებათაღელვის მცირე სურათი, რომელშიც ნათლად აისახა, თუ როგორ უგულებელყოფენ უმრავლესობის სამართლიან და კანონიერ მოთხოვნას. ამიტომ უმჯობესია ეს წერილი დავასრულოთ ამონაწერით ჭომელთა ბოლო ბარათიდან, რომელიც ისევე ელის პასუხს, როგორც ეს პუბლიკაცია:

„ლესელიძის ქუჩის მცხოვრებთა № 175 განცხადების პასუხად თქვენ გვაცნობეთ, რომ კომისიური შესწავლის საფუძველზე გადაწყვიტეთ მარტივი ტიპის სპორტული მოედნის დატოვება უცვლელი სახით, ე. ი. თავისი ზომებითა და გამწვანების ზოლით. აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ზემოქმედებით თქვენ შეცვალეთ თქვენი კომისიური გადაწყვეტილება და გვაცნობეთ, რომ მოედანი გადაგაქვთ სამხრეთით, წყალსაცავისაკენ, სადაც სამშენებლო ნორმებით ყოველგვარი მშენებლობა აკრძალულია.

საუბნო კომიტეტი, სპორტკომიტეტი, უბნის დეპუტატი და მცხოვრებლები გაცნობებდნენ, რომ მოედანი აგებულია სამშენებლო ნორმების დაცვით (უბნის ცენტრში) და გთხოვდნენ, დაგეტოვებინათ თავის ადგილზე.

დღევანდელი საჯაროობისა და გარდაქმნის პერიოდში თქვენ არ გაითვალისწინეთ საზოგადოებრივი აზრი, რომელსაც ჩვენ კანონიერად მივიჩნევთ და **მაინც ანგრევთ მოედანს ორი დაინტერესებული პირის დასახახლებლად.** ამით თქვენ აფერხებთ უბნის ახალგაზრდობის სპორტული აღზრდის საქმეს და ნიჩბოსნობის ბაზის რეკონსტრუქცია-გაფართოებას, რომლისთვის თანხები უკვე გამოყოფილია.

აღნიშნული საკითხის დადებითად გადასაწყვეტად, საჭიროდ მივაჩნია მივმართოთ რესპუბლიკურ პრესას, ტელევიზიას, აგრეთვე რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებს და ვიკითხოთ, რატომ არ სრულდება სადირექტივო ორგანოების დადგენილებანი სპორტული მოედნების მოვლა-პატრონობისა და დაცვის შესახებ"...

მართლაც, რატომ არ სრულდება ზემდგომი ორგანოების ეს ცნობილი დადგენილებები? განა გაკეთებულის დანგრევას მის კეთილმოწყობაზე ფიქრი არ სჯობია? მით უმეტეს, თუ ქუთაისში მარტივი ტიპის მოედნების უმეტესობა კარგა ხანია მზრუნველ ხელს ელის.

„ლელოს" სარეიდო ბრიგადა.

**P. S.** ლესელიძის ქუჩის შესახვევებიდან გაჭირვებით გამოაღწია ჩვენმა მანქანამ, კეთილმოუწყობელ, ოღრო-ჩოღრო გზებს თავდაღწეულებს მაინც მოგვიხდა ჭომაში შეჩერება და გულსაკლავი სურათის ხილვა: ადამიანის უგულობითა და მოუვლელობით გამხმარ საუკუნოვან ძელქვებს ჭრიდნენ, ძელქვებს, რომლებიც, როგორც აგვიხსნეს, ქალაქის თავისებურ სიმბოლოდ ითვლება და მისი ისტორიის ნაწილს შეადგენდა.

...ეგ რაა, ბატონო, ზევით ასწლოვანი ჭადრები — ბუნების ძეგლები გაკაფეს, აქაოდა ადამიანთა კეთილდღეობისთვის ვზრუნავთო. აქ ორი მეტრი მილი ვერ გაიყვანეს და ამ გამდინარმა და ფეკალურმა წყლებმა გაახმო ეს ისტორიული ძელქვები, რომლებმაც რას არ გაუძლეს და ახლა ჩვენი გულგრილობის მსხვერპლნი გახდნენ. კარგი, მე მოხუცი ვარ, მაგრამ, რას ვეტყვით ჩვენ ხვალინდელ თაობას, მარტო დღევანდელზე ფიქრი არ გვარგებს, მომავლისკენაც ხომ უნდა გავიხედოთ. ასფალტი არ გვყოფნისო და, ხედავთ, რა დღეშია ჩვენი უბნის ეს ქუჩები და უძველესი ნარგავები. მაშ როგორ ვირწმუნოთ, რომ გვამშვიდებენ, ნუ გეშინიათ, ამ მოედანს კი დავანგრევთ, მაგრამ იქვე ახალს ავიშენებთო. ნუთუ არავინ უფრთხილდება ან დროს, ან ასფალტს, ან ხალხის ნერვებს? ვიღაცამ ხომ უნდა იზრუნოს ხვალინდელ დღეზე. ან ის ხალხი რა ნამუსით უნდა დასახლდეს იმ მოედანზე, თვალი როგორ უნდა გაუსწორონ იმათ, ვის მეზობლობასაც აპირებენ. ძალით ხომ არ ვამწვავებთ მდგომარეობას, მოგვისმინონ და გაგვიგონ — ჩაილაპარაკა ერთმა მოხუცმა ჭომელმა და ისევ წაქცეულ საუკუნოვან ძელქვებს მიუბრუნდა დადარდიანებული.

# სამზადისი და „ოქროს დებიუტი"

(დასასრული)

როგორ მიმდინარეობს მზადება წყალმოთხილამურეთა საკავშირო თასის გათამაშების სამასპინძლოდ — ინფორმაციით გამოვიდნენ სხვადასხვა უწყებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები. როგორც ადრე ვიუწყებოდით, ეს შეჯიბრება 8-11 სექტემბერს გაიმართება თბილისის ზღვაზე. ფედერაციის პრეზიდიუმის წევრებმა იმსჯელეს აგრეთვე საქართველოში წყალსათხილამურო სპორტის განვითარების პერსპექტივებზე, განიხილეს ორგანიზაციული საკითხები.

* * *

...კარგად დაიწყო, კარგადვე გაგრძელდა და შედეგმაც არ დააყოვნა.

არადა, თითქოს გუშინ იყო: ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველომ მშვენიერი საწყლოსნო კომპლექსი ააგო, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებაში გაიხსნა ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური წყალსათხილამურო სკოლა, თავიდანვე აქტიურად, წინდახედულად ამოქმედდნენ რესპუბლიკის სპორტსახკომის მუშაკები და ფედერაციის ხელმძღვანელები. ერთი სიტყვით, საქმე დაიძრა, აეწყო და პირველი გაუბედავი ნა-



ბიჯები ორ-სამ წელიწადში სერიოზულ წარმატებამდე მივიდა.

ახლახან, სოფიის მახლობლად, ბოტუნეცის ტბაზე, ჩატარდა სოციალისტური ქვეყნების წყალმოთხილამურეთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი „მეგობრობის თასზე". მონაწილენი სამ ასაკობრივ ჯგუფად იყვნენ გაყოფილნი. ერთ მათგანში, 17 წლამდე ასაკის სპორტსმენთა კონკურსში, საბჭოთა კავშირის ღირსებას იცავდნენ საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ბავშვთა და მოზარდთა წყალსათხილამურო სკოლის ფოთელი მოსწავლეები ხათუნა კორკელია და გენადი პეტრუხინი.

ხათუნა კორკელიამ მართლაც ბრწყინვალედ იასპარეზა: მან ჯერ სამივე დისციპლინაში (სლალომში, ფიგურულ სრიალში, ტრამპლინზე ხტომაში) გაიმარჯვა, ცხადია, საუკეთესო იყო მრავალჭიდშიც და შეჯიბრება აბსოლუტური ჩემპიონის წოდებითა და ოთხი ოქროს მედლით დაამთავრა.

გენადი პეტრუხინმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვა ფიგურულ სრიალსა და ტრამპლინზე ხტომაში, მოსკოვში ჩამოსვლისთანავე კი ნორვეგიაში გაემგზავრა ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე.

საქართველოს წყალმოთხილამურეთა (მწვრთნელები — ვიქტორ მელნიკი და თამაზ ლაგვილავა) ეს წარმატება მით უფრო სასიხარულოა, რომ ბულგარეთში გამართულ შეჯიბრებაში მონაწილეობა მათი დებიუტი იყო საერთაშორისო სარბიელზე.

### კვირიდან კვირამდე

„პრავდა" — 1.VIII — რა მოჩანს „შევარდენთა" ფრენის სიმაღლიდან? ავტორი ვ. სუდაკოვი მიმოიხილავს ნბა-ს პროფესიულ კალათბურთელთა კლუბის „ატლანტა ჰოუქსის" ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობის დასკვნით მატჩს საბჭოთა ნაკრებთან.

„იზვესტია" 2. VIII — ამავე ტურნეს აჯამებს გამოჩენილი საბჭოთა სპეციალისტი, სპორტის დამსახურებული ოსტატი სერგეი ბელოვი, რომლის წერილს ჰქვია „კალათბურთი მთელი მშვენებით".

„ტრუდი" 4. VIII. წერილში „რატომ არ დაბრუნდნენ იახტები" — მოთხრობილია აფროსნობაში ლატვიის ჩემპიონატის ტრაგიკული დასასრულის შესახებ.

„სოვეტსკი სპორტი" 2. VIII. ხარკოველ ცურვის მწვრთნელ-მასწავლებელს მ. ბრლინს წერილში — „ოჰ, ზღვაო გაგრისა" შესაძლებლად მიაჩნია, რომ გაგრაში შეიქმნას საწყლოსნო სადგურის კოოპერატივი, სადაც მსურველები მასობრივად დაეუფლებიან ცურვას.

4. VIII. „ორი წელი და ორი კვირა" გაზეთი ასეთი სათაურით იწყებს სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელების წერილს, სადაც ლაპარაკია იმაზე თუ როგორ ემზადებოდა ჩვენი გუნდი ევროპის ჩემპიონატის ორთაბრძოლებისათვის.

### მოკლედ

ხუთი ფიზკულტურული კოლექტივი მონაწილეობდა აჭარის პროფკავშირთა სპორტული საზოგადოების საოლქო საბჭოს პირველობაზე მშდ-ის მრავალჭიდის მძლეოსნურ სახეობებში. გამარჯვება წილად ხვდათ ქობულეთელებს. მეორე ადგილზეა ბათუმის კოლექტივი, ხოლო მესამეზე — ხელვაჩაურის ნაკრები.

ლევან ჭავჭავაძე.
„ლელოს" კორ.

# საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ლიგა

**5 აგვისტოს** გაიმართა სსრ კავშირის 51-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მე-17 ტურის ბოლო მატჩი. დონეცკში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „შახტიორი“ და მოსკოვის „დინამო“. დონეცკის „შახტიორმა“ გაიმარჯვა — 2:0.

ტურის სტატისტიკურ მონაცემები:

**„ლოკომოტივი“ — „დინამო“ (კიევი) 1:1 (0:1).** გოლები: ზავაროვი („დინამო“), კალაიჩევი („ლოკომოტივი“),

გააფრთხილეს ლოკომოტიველი გოლოვნია და კიეველი კუზნეცოვი.

დუბლიორები — 0:1.

**„ნეფთჩი“ — „დნეპრი“ 2:2 (1:1).** გოლები: პონომარიოვი, სულეიმანოვი („ნეფთჩი“), ლიუტი, სონი („დნეპრი“).

დუბლიორები — 1:1.

**„არარატი“ — „სპარტაკი“ 1:0 (1:0).** გოლი: აივაზიანი.

გააფრთხილეს სპარტაკელი მოსტოვოი და ერევნელი კამალიანი.

დუბლიორები — 1:1.

**„ჟალგირისი“ — „ტორპედო“ 2:2 (2:1).** გოლები: ფრიდრიკასი — 2 („ჟალგირისი“), რუდაკოვი, კოვაჩი („ტორპედო“).

დუბლიორები — 0:1.

**„ზენიტი“ — „მეტალისტი“ 2:1 (1:0).** გოლები: აფანასიევი, სალენკო („ზენიტი“), რალიუჩენკო („მეტალისტი“).

დუბლიორები — 1:4.

**„დინამო“ (მინსკი) — „კაირატი“ 3:1 (1:1).** გოლები: დერკაჩი — 2, შიროკი („დინამო“), ვოლგინი („კაირატი“).

გააფრთხილეს ალმაათელი ფეხბურთელები იაროვენკო და ლედოვსკიხი, აგრეთვე, მინსკელი როდნენოკი.

დუბლიორები — 1:1.

**„შახტიორი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 2:0 (2:0).** გოლები: პეტროვი — 2.

დუბლიორები — 0:1.

● **გათამაშების** მეორე წრე სულ ახლახან დაიწყო, დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“ კი, რომელიც ლიდერია, უკვე 8 მატჩი აქვს ფრედ დამთავრებული. 7-7 მატჩში დაკარგეს ქულა „ჟალგირისმა“, „სპარტაკმა“, მინსკის „დინამომ“ და „მეტალისტმა“. ჯერ არც ერთი მატჩი არ უთამაშია ფრედ თბილისის „დინამოს“.

● **„სპარტაკმა“** ბოლო 5 ტურში 10 შესაძლებლიდან მხოლოდ 3 ქულა აიღო და 5 მატჩში სულ 3 ბურთი გაიტანა.

● **ყველაზე** მეტი გოლი „ზენიტის“ ფეხბურთელებზე მოდის (27), ყველაზე ნაკლები გაუშვეს კიეველებმა (7), გატანილი და მიღებული ბურთების საუკეთესო სხვაობა აქვს კიევის „დინამოს“ (24-7).

● **ბომბარდირთა** დავაში კვლავინდებურად წინაა მოსკოვის „დინამოს“ თავდამსხმელი ა. ბოროდიუკი — 10 ბურთი. 9 გოლი გაიტანა ლოკომოტიველმა მ. რუსიაევმა, 8-8 გ. გურულმა („დინამო“, თბილისი), ე. შახოვმა („დნეპრი“) და ო. პროტასოვმა („დინამო“, კიევი).

### გათამაშების ცხრილი
### დუბლიორთა შემადგენლობანი

**მდგომარეობა 7 აგვისტოსთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ მ. | 18 | 12 | 3 | 3 | 30-12 | 27 |
| „სპარტაკი“ | 17 | 9 | 5 | 3 | 35-21 | 23 |
| „დინამო“ კ. | 15 | 9 | 3 | 3 | 25-15 | 21 |
| „ტორპედო“ | 17 | 9 | 3 | 5 | 25-22 | 21 |
| „ჩერნომორ.“ | 17 | 8 | 5 | 4 | 20-14 | 21 |
| „ჟალგირისი“ | 17 | 7 | 5 | 5 | 30-14 | 19 |
| „დინამო“ თბ. | 16 | 7 | 5 | 4 | 23-22 | 19 |
| „ზენიტი“ | 17 | 7 | 2 | 8 | 20-25 | 16 |
| „ლოკომოტ.“ | 16 | 6 | 4 | 6 | 23-19 | 16 |
| „მეტალისტი“ | 18 | 6 | 4 | 8 | 23-21 | 16 |
| „დნეპრი“ | 18 | 6 | 4 | 8 | 19-26 | 16 |
| „არარატი“ | 15 | 4 | 4 | 7 | 22-27 | 12 |
| „ნეფთჩი“ | 15 | 3 | 5 | 7 | 9-19 | 11 |
| „კაირატი“ | 17 | 3 | 4 | 10 | 16-34 | 10 |
| „შახტიორი“ | 16 | 3 | 3 | 10 | 18-31 | 9 |
| „დინამო“ მნ. | 17 | 3 | 3 | 11 | 16-32 | 9 |

## I ლიგა

**გუშინ** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 24-ე ტურის შეხვედრები.

ლანჩხუთის „გურიამ“ თავის მინდორზე მიიღო გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი სტავროპოლის „დინამო“. თამაში დამთავრდა ლანჩხუთელთა გამარჯვებით — 2:1.

ბათუმში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი დინამოელები და ორჯონიკიძის „სპარტაკი“.

გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 1:0.

## ცვლილება კალენდარში

იმასთან დაკავშირებით, რომ კიევის „დინამოს“ ფეხბურთელები საერთაშორისო ტურნირზე მიემგზავრებიან იტალიაში, 13 აგვისტოსთვის დაგეგმილი საკავშირო ჩემპიონატის მათი შეხვედრა მინსკის „დინამოსთან“ შედგება უფრო მოგვიანებით.

## საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

გაიმართა ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მატჩები.

**გფრ**

**I ტური.** „ბორუსია“ (დორტმუნდი) — „შტუტგარტი“ 1:2, „მანჰეიმი“ — „ლევერკუზენი“ 1:1, „კიოლნი“ — „იურდინგენი“ 1:1, „სენტ პაული“ — „ნიურნბერგი“ 0:1, „შტუტგარტ კიკერსი“ — „ბოხუმი“ 1:2, „ბაიერნი“ — „აინტრახტი“ (ფრანკფურტი) 3:0, „ჰანოვერი“ — „კარლსრუე“ 2:3, „ვერდერი“ (ბრემენი) — „ჰამბურგი“ 2:1, „ბორუსია“ (მიონხენგლადბახი) — „კაიზერსლაუტერნი“ 4:1.

**საფრანგეთი**

**II ტური.** „ოსერი“ — „ლავალი“ 2:1, „ტულონი“ — „მეცი“ 1:0, „ლილი“ — „მარსელი“ 2:1, „კაენი“ — „ნანტი“ 2:3, „მონპელიე“ — „ნიცა“ 1:1, „სენტ-ეტიენი“ — „სტრასბურგი“ 0:0, „ტულუზა“ — „ლანი“ 2:1, „მონაკო“ — „კანი“ 2:0, „სოშო“ — „რესინგი“ (პარიზი) 2:0, „პარი სენ ჟერმენი“ — ბორდოს მატჩი გადაიდო.

**ნორვეგია**

**X ტური.** „ტრონჰეიმი“ — „დიერვი“ 8:0, „სიონგდალი“ — „სტრიომენი“ 1:0, „ლილესტრიომი“ — „ტრომსიო“ 2:0, „მოლდე“ — „ვალერინგენი“ 2:2, „ბრინი“ — „კონგსვინგერი“ 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ლილესტრიომი“ | 10 | 18-7 | 23 |
| „ტრონჰეიმი“ | 10 | 18-10 | 21 |
| „მოსი“ | 10 | 15-5 | 18 |

**შვეცია**

**XIV ტური.** „იურგორდენი“ — „ერგრიუტე“ 1:1, „მაისი“ — „ესტერი“ 1:0, „მალმიო“ — „ჰამარბიუ“ 2:0, „სუნდსვალი“ — „ნორჩეპინგი“ 2:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „მალმიო“ | 14 | 31-14 | 23 |
| „ნორჩეპინგი“ | 14 | 30-13 | 18 |
| „გიოტებორგი“ | 13 | 18-10 | 18 |

**დანია**

**XII ტური.** „ბ 1903“ — „სილკებორგი“ 1:2, „ბრონშიო“ — „ბრონდბიუ“ 1:5, „იკასტი“ — „ლუნგბიუ“ 0:0, „ნესტვედი“ — „ბკ კოპენჰაგენი“ 1:0, „ვეილე“ — „ჰერფოლგე“ 1:1, „ოდენსე“ — „რენდერს ფრეია“ 3:0, „ოლბორგი“ — „ორჰუსი“ 0:0.

| | | |
|---|---|---|
| „ბრონდბიუ“ | 12 | 19 |
| „ლინგბიუ“ | 12 | 18 |
| „ჰერფოლგე“ | 12 | 16 |

**შვეიცარია**

**I ტური.** „ლოზანა“ — „არაუ“ 0:2, „ლუგანო“ — „იანგ ბოისი“ 1:1, „ლუცერნი“ — „სენტ გალენი“ 3:2, „ქსამაქსი“ — „ბელინცონა“ 2:2, „სერვეტი“ — „სიონი“ 0:1, „ვეტინგენი“ — „გრასჰოპერსი“ 1:1.

(საქ. ინფ.)

## „ვერდერი“ — ევროპა 7:2

**ბრემენი.** აქ გაიმართა ადგილობრივი „ვერდერისა“ და გფრ-ის ფეხბურთელთა ნაკრების ყოფილი მეკარის ბურდენსკის გამოსათხოვარი მატჩი.

შეხვედრა ევროპის ნაკრებთან ბრემენელთა გამარჯვებით დამთავრდა — 7:2. „ვერდერის“ მხრიდან თავი გამოიჩინეს: მაიერმა (3 გოლი), აგრეთვე, ვოტავამ, ბურგსმიულერმა, ორდევიცმა და ნოიბარტმა, ევროპის ნაკრებში კი — დეტარიმ და ტონმა.

კონტინენტის ნაკრების ღირსებას იცავდნენ: პფაფი (ბელგია), ხოვანეცი (ჩეხოსლოვაკია), კალცი (გფრ, შეცვალა რუმინელმა ბოლონიმ), ბრიგელი (გფრ), ჰაჯი (რუმინეთი), ვან დერ ელსტი (ბელგია), ტონი (გფრ, შეცვალა თურქმა ერჰანმა), დეტარი (უნგრეთი), ბარნსი (ინგლისი), ელკიაერი (დანია), დუჰოვი (ჩეხოსლოვაკია).

## შევსება მიიღეს

იტალიის კლუბებმა გამოაცხადეს იმ ფეხბურთელთა სია, რომლებიც ახალი სეზონიდან მათ შემადგენლობაში ჩაირიცხა:

„ასკოლი“ — არსლანოვიჩი და ცვეტკოვი (ორივე — იუგოსლავია); „ატლანტა“ — პრიტცი (შვეცია), ფანა („ინტერი“); „ჩეზენა“ — ჰოლმკვისტი (შვეცია), კუზი („ბარი“), კალკატერა („ინტერი“); „ფიორენტინა“ — დუნგა (ბრაზილია), ბორგონოვო („კომო“); „ინტერი“ — მათეუსი, ბრემე (ორივე — გფრ); „ლაციო“ — დეზოტი (არგენტინა), სოსა, გუტიერესი (ორივე — ურუგვაი); „მილანი“ — რიიკარდი (ჰოლანდია), გალდერისი („ლაციო“); „ნაპოლი“ — ფუსი („სამპდორია“), ჯულიანი („ვერონა“), კორადინი („ტორინო“); „პიზა“ — ბეერი (ჰოლანდია), სევერინსი (ბელგია); „რომა“ — რენატო (ბრაზილია), სიცოტელი („ჩეზენა“); „სამპდორია“ — დოსენა („უდინეზე“); „ტორინო“ — მიულერი (ბრაზილია); „ვერონა“ — კანიჯია და ტროგლიო (ორივე — არგენტინა); „ბარი“ — დი ჯენარო („ვერონა“), „ბოლონია“ — დე მოლი (ბელგია).

ამ ფეხბურთელთა გარდა „რომას“ სურს როლფის (გფრ) ან სილასის (ბრაზილია) შეძენა, „ნაპოლის“ — ვანენბურგისა (ჰოლანდია), „ფიორენტინას“ — რუი აგუაშისა (პორტუგალია).

## მარადონა თუ გულიტი?

იტალიის სპორტული პრესა ხშირად უდარებს ერთმანეთს ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე უცხოელ ფეხბურთელთა მონაცემებს. ასე დაუპირისპირეს რამდენჯერმე ზიკო და პლატინი, პლატინი და მარადონა. ახალი საფეხბურთო სეზონის წინ გამართულ რეფერენდუმში, რომელშიც ცნობილი სპეციალისტები და ჟურნალისტები მონაწილეობდნენ, კანდიდატებად გულიტი და მარადონა შეარჩიეს. შეფასება ათბალიანი სისტემით ხდებოდა:

| | გულიტი | მარადონა |
|---|---|---|
| საფეხბურთო აზროვნება | 8 | 10 |
| შუა მოედანზე თამაში | 8 | 8 |
| თავდასხმაში თამაში | 8 | 9 |
| მარცხენა ფეხით თამაში | 8 | 10 |
| მარჯვენა ფეხით თამაში | 8 | 6 |
| თავით თამაში | 9 | 5 |
| გოლის ალღო | 8 | 10 |
| სულ | 57 | 58 |

როგორც ხედავთ, მარადონამ ერთი ქულით მეტი დააგროვა. არადა, ურთიერთშეხვედრებში ერთგვარი უპირატესობა ჰოლანდიელის მხარესაა. მისმა გუნდმა „მილანმა“ ორჯერ დაამარცხა „ნაპოლი“, რომელშიც მარადონა თამაშობს — 4:1 და 3:2.

# სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

## გათამაშების კალენდარი ● II ლიგა (IX ზონა) II წრე

**XVI ტური**
**11 აგვისტო, ხუთშაბათი**
„დინამო“ (მახაჩყალა) — „ტორპედო“ (ქუთაისი).
„თერგი“ (გროზნო) — „დილა“ (გორი).
„ტორპედო“ (ვოლჟსკი) — „ტექსტილშჩიკი“ (კამიშინი).
„ატომმაში“ (ვოლგადონსკი) — „სოკოლი“ (სარატოვი).
„შევარდენი“-სპი (თბილისი) — „მეტალურგი“ (რუსთავი).
„ლოკომოტივი“ (მ. წყ) — „ლოკომოტივი“-ომც (თბილისი).
„ხაზარი“ (სუმგაითი) — „ქიაფაზი“ (კიროვაბადი).
„ბაკინეცი“ (ბაქო) — „გოიაზანი“ (ყაზახი).

**XVII ტური**
**14 აგვისტო, კვირა**
„დინამო“ — „დილა“.
„თერგი“ — „ტორპედო“ ქ.
„ტორპედო“ ვ. — „სოკოლი“.
„ატომმაში“ — „ტექსტილშჩიკი“.
„შევარდენი“-სპი — „ლოკომოტივი“-ომც.
„ლოკომოტივი“ (მ. წყლ.) — „მეტალურგი“.
„ხაზარი“ — „გოიაზანი“.
„ბაკინეცი“ — „ქიაფაზი“.

**XVIII ტური**
**19 აგვისტო, პარასკევი**
„მეტალურგი“ — „ხაზარი“.
„ლოკომოტივი“-ომც — „ბაკინეცი.“
„ქიაფაზი“ — „შევარდენი“-სპი.
„გოიაზანი“ — „ლოკომოტივი“ (მ. წყლ.).
„ტექსტილშჩიკი“ — „დინამო“.
„სოკოლი“ — „თერგი“.
„ტორპედო“ ქ. — „ტორპედო“ ვ.
„დილა“ — „ატომმაში“.

**XIX ტური**
**22 აგვისტო, ორშაბათი**
„მეტალურგი“ — „ბაკინეცი“.
„ლოკომოტივი“-ომც — „ხაზარი“.
„ქიაფაზი“ — „ლოკომოტივი“ (მ. წყლ.).
„გოიაზანი“ — „შევარდენი“-სპი.
„ტექსტილშჩიკი“ — „თერგი“.
„სოკოლი“ — „დინამო“.
„ტორპედო“ ქ. — „ატომმაში“.
„დილა“ — „ტორპედო“ ვ.

**XX ტური**
**30 აგვისტო, სამშაბათი**
„დინამო“ — „ქიაფაზი“.
„თერგი“ — „გოიაზანი“.
„ტორპედო“ ვ. — „მეტალურგი“.
„ატომმაში“ — „ლოკომოტივი“-ომც.
„შევარდენი“-სპი — „ტორპედო“ ქ.
„ლოკომოტივი“ (მ. წყლ.) — „დილა“.
„ხაზარი“ — „ტექსტილშჩიკი“.
„ბაკინეცი“ — „სოკოლი“.

**XXI ტური**
**2 სექტემბერი, პარასკევი**
„დინამო“ — „გოიაზანი“.
„თერგი“ — „ქიაფაზი“.
„ტორპედო“ ვ. — „ლოკომოტივი“-ომც.
„ატომმაში“ — „მეტალურგი“.
„შევარდენი“-სპი — „დილა“.
„ლოკომოტივი“ (მ. წყლ.) — „ტორპედო“ ქ.
„ხაზარი“ — „სოკოლი“.
„ბაკინეცი“ — „ტექსტილშჩიკი“.

**XXII ტური**
**8 სექტემბერი, ხუთშაბათი**
„მეტალურგი“ — „დინამო“.
„ლოკომოტივი“-ომც — „თერგი“.
„ქიაფაზი“ — „ტორპედო“ ვ.
„გოიაზანი“ — „ატომმაში“.
„ტექსტილშჩიკი“ — „შევარდენი“-სპი.
„სოკოლი“ — „ლოკომოტივი“ (მ. წყლ.).
„ტორპედო“ ქ. — „ხაზარი“.
„დილა“ — „ბაკინეცი“.

**XXIII ტური**
**11 სექტემბერი, კვირა**
„მეტალურგი“ — „თერგი“.
„ლოკომოტივი“-ომც — „დინამო“.
„ქიაფაზი“ — „ატომმაში“.
„გოიაზანი“ — „ტორპედო“ ვ.
„ტექსტილშჩიკი“ — „ლოკომოტივი“ (მ. წყლ.).
„სოკოლი“ — „შევარდენი“-სპი
„ტორპედო“ ქ. — ბაკინეცი“.
„დილა“ — „ხაზარი“.

**XXIV ტური**
**18 სექტემბერი, კვირა**
„გოიაზანი“ — „ქიაფაზი“.
„ტექსტილშჩიკი“ — „სოკოლი“.
„ტორპედო“ ქ. — „დილა“.
„დინამო“ — „ტორპედო“ ვ.
„თერგი“ — „ატომმაში“.
„შევარდენი“-სპი — „ლოკომოტივი“ მ. წყლ.).
„ხაზარი“ — „ბაკინეცი“.

**19 სექტემბერი, ორშაბათი**
„ლოკომოტივი“-ომც — „მეტალურგი“.

**XXV ტური**
**24 სექტემბერი, შაბათი**
„ქიაფაზი“ — „ლოკომოტივი“-ომც.
„გოიაზანი“ — „მეტალურგი“.
„ტექსტილშჩიკი“ — „ტორპედო“ ქ.
„სოკოლი“ — „დილა“.
„ტორპედო“ ვ. — „თერგი“.
„ატომმაში“ — „დინამო“.
„შევარდენი“-სპი — „ბაკინეცი“.
„ლოკომოტივი“ (მ. წყლ.) — „ხაზარი“.

**XXVI ტური**
**27 სექტემბერი, სამშაბათი**
„მეტალურგი“ — „ქიაფაზი“.
„ლოკომოტივი“-ომც — „გოიაზანი“.
„ტორპედო“ ქ. — „სოკოლი“.
„დილა“ — „ტექსტილშჩიკი“.
„დინამო“ — „თერგი“.
„ტორპედო“ ვ. — „ატომმაში“.
„ხაზარი“ — „შევარდენი“-სპი.
„ბაკინეცი“ — „ლოკომოტივი“ (მ. წყლ.).

**XXVII ტური**
**4 ოქტომბერი, სამშაბათი**
„მეტალურგი“ — „ტორპედო“ ქ.
„ლოკომოტივი“-ომც — „დილა“.
„ქიაფაზი“ — „ტექსტილშჩიკი“.
„გოიაზანი“ — „სოკოლი“.
„დინამო“ — „ხაზარი“.
„თერგი“ — „ბაკინეცი“.
„ტორპედო“ ვ. — „შევარდენი“-სპი.
„ატომმაში“ — „ლოკომოტივი“ (მ. წყლ.).

**XXVIII ტური**
**7 ოქტომბერი, პარასკევი**
„მეტალურგი“ — „დილა“.
„ლოკომოტივი“-ომც — „ტორპედო“ ქ.
„გოიაზანი“ — „ტექსტილშჩიკი“.
„ქიაფაზი“ — „სოკოლი“.
„დინამო“ — „ბაკინეცი“.
„თერგი“ — „ხაზარი“.
„ტორპედო“ ვ. — „ლოკომოტივი“ (მ. წყლ.).
„ატომმაში“ — „შევარდენი“სპი.

**XXIX ტური**
**12 ოქტომბერი, ოთხშაბათი**
„ტექსტილშჩიკი“ — „მეტალურგი“.
„სოკოლი“ — „ლოკომოტივი“-ომც.
„ტორპედო“ ქ. — „ქიაფაზი“.
„დილა“ — „გოიაზანი“.
„შევარდენი“სპი — „დინამო“.
„ლოკომოტივი“ (მ. წყლ.) — „თერგი“.
„ხაზარი“ — „ტორპედო“ ვ.
„ბაკინეცი“ — „ატომმაში“.

**XXX ტური**
**15 ოქტომბერი, შაბათი**
„ტექსტილშჩიკი“ — „ლოკომოტივი“-ომც.
„სოკოლი“ — „მეტალურგი“.
„ტორპედო“ ქ. — „გოიაზანი“.
„დილა“ — „ქიაფაზი“.
„შევარდენი“-სპი — „თერგი“.
„ლოკომოტივი“ (მ. წყლ.) — „დინამო“.
„ხაზარი“ — „ატომმაში“.
„ბაკინეცი“ — „ტორპედო“ ვ.

## „სპორტპროგნოზი“, 33-ე ტირაჟის პროგრამა (13-15 აგვისტო)

| | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 1. „შახტიორი“ (დონეცკი) — „არარატი“ (ერევანი) | 13.VIII | 40 | 40 | 20 |
| 2. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „დინამო“ (თბილისი) | 13.VIII | 70 | 10 | 20 |
| 3. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მოსკოვი) | 13.VIII | 40 | 40 | 20 |
| 4. „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „ნეფთჩი“ (ბაქო) | 13.VIII | 60 | 20 | 20 |
| 5. „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 13.VIII | 10 | 60 | 30 |
| 6. „კაირატი“ (ალმა-ათა) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 13.VIII | 20 | 60 | 20 |
| 7. „ტორპედო“ (მოსკოვი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 14.VIII | 50 | 20 | 30 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)** | | | | |
| 8. „როტორი“ (ვოლგოგრადი) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი) | 15.VIII | 50 | 40 | 10 |
| 9. ასკ (როსტოვი) — „დაუგავა“ (რიგა) | 15.VIII | 50 | 10 | 40 |
| 10. ცსკა — „პამირი“ (დუშანბე) | 15.VIII | 50 | 40 | 10 |
| 11. „კუზბასი“ (კემეროვო) — „პახტაქორი“ (ტაშკენტი) | 15.VIII | 30 | 10 | 60 |
| 12. „შინიკი“ (იაროსლავლი) — „გურია“ (ლანჩხუთი) | 15.VIII | 60 | 20 | 20 |
| 13. „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „როსტსელმაში“ (როსტოვი) | 15.VIII | 50 | 40 | 10 |

# სეულის ოლიმპიადის ნაღდი კანდიდატი

დასასრული

ლად ერთეულთა თანრიგში გამართულა ასპარეზობა, მერე სავალდებულო პროგრამით. ხრისტინამ მხოლოდ სავალდებულო პროგრამას ჩაუსწრო და საბჭოთა სპორტსმენთაგან მესამე შედეგი აჩვენა.

როგორც ხედავთ, ჩვენს სპორტსმენს ძალზე სტაბილური შედეგები აღმოაჩნდა. გავიხსენოთ, მანამდე გამართულ ევროპის თასის გათამაშებაში მან ერთი ოქროსა და ორი ვერცხლის მედალი მოიპოვა. აი, ამიტომაც იყო, საკავშირო სპორტსახკომის ცურვის სამმართველოს უფროსის მოადგილე იგორ ბუგაეცმა საკავშირო ჩემპიონატის დაწყებამდე რომ გვითხრა, თქვენს სპორტსმენს ნაკრებში ადგილი 90 პროცენტით გარანტირებული აქვსო. ხრისტინას თბილისში სეულის საგზური რომ დაეკარგა, რაღაც უსაშველოდ ცუდად უნდა გამოსულიყო.

ჩვენმა მკითხველმა იცის, ხრისტინამ შინ ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. თანაც ისეთი უპირატესობით გაიმარჯვა, რომ მეტოქეებს წარმატების ყოველგვარი იმედი გადაუწურა. ეს ქალიშვილი ქვეყნის ჩემპიონი მანამდეც იყო, ოღონდ მაშინ წარმატება ჯგუფურ შეჯიბრებაში ჰქონდა. ასე რომ, ხრისტინა საქართველოს სპორტსმენთაგან პირველია, რომელმაც ენდენ დიდ წარმატებას მიაღწია. ხრისტინაზე, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების წარმომადგენლის მწვრთნელის მიხეილ დალაქიშვილის ქალიშვილზე, შეიძლება იმის თქმა, რომ მისი განტოლება მხოლოდ გამარჯვებაა.

ქებით უნდა მოვიხსენიოთ ასევე პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების წარმომადგენელი ლელა მამიაური, რომელიც ერთეულთა შეჯიბრების ფინალში გამოდიოდა. ლელას ამ სახეობის ფინალში მანამდეც უასპარეზია, მაგრამ ახლანდელი მეხუთე ადგილი მისთვის საუკეთესო მიღწევაა.

გუშინ გაიმართა შეჯიბრებები წყვილთა ასპარეზობაში.

**ჩემპიონები გახდნენ მოსკოველები ტატიანა ტიტოვა და მარია ჩერნიაევა (187,52). მეორე ადგილი წილად ხვდათ ლენინგრადელ ირინა არტიომოვას, კიეველ ელენა ფაშევსკაიას და თბილისელ ხრისტინა ფალასანიძის (186,35), ხოლო მესამე — თბილისელებს ნინო ველაშვილსა და ლელა მამიაურს (178,05).**

**ავთანდილ გურასაშვილი.**

## „ოქროს ოვალის" პრიზზე

ორი წლის წინ თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონმა პირველად უმასპინძლა ნორჩ რეგბისტთა საკავშირო შეჯიბრების, „ოქროს ოვალის" ფინალურ ტურნირს. წელს ეს ასპარეზობა კვლავ თბილისში ტარდება: გუშინწინ ორ ჯგუფად გაყოფილმა გუნდებმა სტუდქალაქის სტადიონზე გამართეს პირველი შეხვედრები, რომლებიც ასე დამთავრდა: ზელინოგრადის „ზენიტოვეცი" — ტაგანროგის „რადუგა" 6:7, თბილისის „შევარდენი" — ქუთაისის „მშენებელი" 4:3, თბილისის „ლელო" — ლანჩხუთის „კოლხეთმშენი" — 13:6; მოსკოვის „სლავა" — კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაჟსტროი" 3:15.

## საჭადრაკო კომპოზიცია

### ზღაპრული სამყარო

საჭადრაკო კომპოზიციას მკვეთრად გამოხატულ შემეცნებით და ესთეტიკურ ღირებულებებთან ერთად, სახალისო ეფექტიც გააჩნია. კერძოდ, მას ბევრი საერთო აქვს თავშესაქცევ და გონებამახვილურ გამოცანებთან. ეს მხარე განსაკუთრებით წარმოჩენილია ზღაპრული ჭადრაკის ჟანრში, სადაც საჭადრაკო კომპოზიტორის ფანტაზიას მეტი თავისუფლება და გასაქანი აქვს.

ზღაპრული ჭადრაკის ერთ-ერთ თვალსაჩინო გამოვლინებას ე. წ. „ჰიბრიდული" ნაწარმოები წარმოადგენს. ასე მაგალითად, მისთვის დამახასიათებელია ერთ კომპოზიციაში რამდენიმე დავალების ერთდროული შერწყმა; დაფაზე ახალი საზღვრების გატარება; დავალებაში რაიმე დამატებითი პირობის შემოტანა და სხვ. ასეთი სახის უჩვეულო ცვლილებები საინტერესო შედეგს იძლევა — თავისთავად ფანტასტიკურს ხდის ამოცანას, ამომხსნელს კი ურთულებს და უფართოებს საძიებო ასპარეზს.

ზღაპრული ჭადრაკის აღიარებული დიდოსტატი იყო გამოჩენილი ინგლისელი პრობლემისტი თომას დოუსონი (1889–1951), რომლის უსაზღვრო ფანტაზია ლეგენდარულია კომპოზიციის ისტორიაში.

**თ. დოუსონი, 1915**



შამათი (თვითშამათი) 2 სვლაში

ამ ამოცანაში, ერთი შეხედვით, უჩვეულო თითქოს არაფერია. მაგრამ დიაგრამის ქვეშ მიწერილ დავალებას გარკვევა სჭირდება. ავტორი გვისვამს კითხვას: რომელ მეფეს და რა წესით აქვს შამათი ორ სვლაში? თურმე არსებობს 4 ვერსია: I. შამათი შავ მეფეს — 1. მc2 და 2. მ:b4×, II. შამათი თეთრ მეფეს — 1. მc8–e7 და 2. მf5×. III. თვითშამათი თეთრ მეფეს — 1. მg2 და 2. მf4+ gf×, IV. თვითშამათი შავ მეფეს — 1. მc8–b6 და 2. მc4+ b3 (d3):c4×.

**ნ. ჯიბინსი, 1934**



შამათი 2 სვლაში

ეს ამოცანა კი მართლაც უჩვეულოა და მის შექმნას სხვა ინგლისელი პრობლემისტის ორიგინალურ ფანტაზიას უნდა ვუმადლოდეთ. დიაგრამას თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ დაფაზე წარმოდგენილი ზღაპრული სამყარო, რომელსაც რვა (!) მეფე განაგებს, ოთხ მიკროსაჭადრაკო სამყაროდ არის დაყოფილი. თითოეული მათგანი ცალკე საჭადრაკო „ცხოვრებას" ეწევა და დაფის დანარჩენ 3/4 ნაწილთან კავშირი არა აქვს: ფაქტობრივად, ამ ჰიბრიდში გაერთიანებულია ოთხი პატარა დაფა (ზომით 4X4) ოთხი სხვადასხვა ამოხსნით. აი, ისინიც: I. (ქვედა მარცხენა კვადრატი) — 1. ეd1! II (ზედა მარცხენა კვადრატი)— 1. ე:c6! III. (ზედა მარჯვენა კვადრატი) — 1. მფf5! ცუგცვანგი. IV. (ქვედა მარჯვენა კვადრატი) — 1. ეf2!

თავისებური ექსცენტრიკაა წარმოდგენილი შემდეგ დიაგრამაზეც, რომელიც საამოცანო ხელოვნების აღიარებულ კლასიკოსს ეკუთვნის.

### ხელმძღვანელი შაშა ნეიძე

**ვ. ბაული, 1916**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ორჯერ შამათი 4 სვლაში

აქ ორი ნაწარმოებია და თითოეულის ამოხსნისათვის დაფის ნახევარიც საკმარისია. ფიგურების განლაგების თვალსაჩინო მსგავსების მიუხედავად მათი ამოხსნები საკმაოდ განსხვავებულია. ამოხსენით დიაგრამის ორივე მხარის ამოცანა და გამოგვიგზავნეთ თქვენი პასუხები, ძვირფასო მეგობრებო!

### ამოხსნა

„ლელოს" 24 ივლისის ნომერში დაბეჭდილი ქ. დრეზეს სამსვლიანი ამოცანა, რომელიც „პიკენინის" და „ალბინოს" თემების სინთეზია, შემდეგნაირად იხსნება: 1. კd3 ed 2. f3, 1. ...ef, 2. f4, 1. ...e6 fe3, 1. ...e5 2. fg, შავი და თეთრი პაიკის მაქსიმალურად აქტიური ორთაბრძოლა! ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც პირველმა გამოგზავნა სწორი პასუხი: რ. გურული (ქვედა საქარა, ზესტაფონის რ.), ნ. კახიძე (ბათუმი), გ. ელოისიძე (ლიბანი, ბორჯომის რ.), რიმა და ესმა თოდუები (1 ჭოლა, ჩხოროწყუს რაიონი), ქეთინო ლორთქიფანიძე, ო. მამულაშვილი (ორივე — თბილისი).

## ინფორმაცია

**ლეიფციგი.** გდრ-ის ჩემპიონის ტიტული 3-მეტრიანი ტრამპლინიდან წყალში ხტომაში ქალთა შორის 23 წლის ბრიტა ბალდუსმა მოიპოვა. მან ქულათა სარეკორდო მარაგი დააგროვა — 565,65.

**ლა-კორუნია** (ესპანეთი). მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირზე 400 მეტრზე თარჯრბენში გაიმარჯვა ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, 32 წლის ამერიკელმა ედვინ მოზესმა — 49,22.

**მიშკოვი** (პოლონეთი). აქ დაიწყო მეგობრობის ახალგაზრდული ველორბოლა, რომელშიც 18 წლამდე ასაკის სპორტსმენები გამოდიან. პირველ დღეს გაიმართა გუნდური რბოლა 57 კილომეტრზე. გაიმარჯვა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა — 1:11.44.

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 7 აგვისტო.** რიტმული ტანვარჯიში — **9.15** (1); „სპორტლოტოს" ტირაჟი — **10.20** (1); სპორტული პროგრამა: 1. საკალათბურთო მიმოხილვა, 2. მსოფლიო ჩემპიონატი აფროსნობაში, 3. მსოფლიო ჩემპიონატი საავტომობილო სპორტში — „ფორმულა-1" — **19.25** (2); საფეხბურთო მიმოხილვა — **23.45** (1).

**8 აგვისტო.** დილის ტანვარჯიში — **9.00** (2); ჯანმრთელი რომ იყო — **20.15** (2); საფეხბურთო მიმოხილვა — **20.30** (2); სსრ კავშირის ჩემპიონატი ჭადრაკში — **0.55** (1).

**საქართველოს ტელევიზია. 7 აგვისტო.** სატელევიზიო დოკუმენტური ფილმის „ჩოგანბურთი" პრემიერა — **10.00**; კალათბურთის ვარსკვლავები — **16.10**; საფეხბურთო მიმოხილვა — **23.45**.

**საქართველოს რადიო. 7 აგვისტო.** რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი" — **14.30**.

# იოგა — ჯანმრთელობის სამსახურში

### ზერეული პოზები და კუნთების მოდუნება

**პოზა „თავი მუხლთან"**

(სურ. 1. ა, ბ)

**მეთოდი:** დაჯექით, ტანის ქვეშ მოკეცეთ მარჯვენა ფეხი და მისი ქუსლი შორისს მიაჭირეთ, მარცხენა ფეხი წინ გაჭიმული გქონდეთ. ორივე ხელი მთლიანად გაჭიმულ მარცხენა ფეხს მოჰკიდეთ. ამოისუნთქეთ. მუცელი ტანის შიგნით შეიტანეთ. ნელა დახარეთ თავი წინ, სანამ შუბლით მარცხენა მუხლს შეეხებით. ამ პოზაში 5–10 წამი დარჩით. თანდათან ვარჯიშის დრო 30 წამამდე გაზარდეთ, ნელა დაუბრუნდით საწყის მდგომა-



სურათი 1. ა, ბ.

რეობას. ცოტა ხანს დაისვენეთ. გაიმეორეთ ვარჯიში 5–6-ჯერ, შემდეგ კი მეორე ფეხით შეასრულეთ.

ეს პოზა წააგავს დამჯდარ მდგომარეობაში მოხრილი ტანის პოზას, ამიტომ ვინც ამ უკანასკნელს დეუფლება, ახალ პოზასაც თავისუფლად აითვისებს.

**ვარიანტი.** მარჯვენა ფეხი ტანის ქვეშ მოკეცვის ნაცვლად შეგიძლიათ ბარძაყზე დაიდოთ. ეს პოზა რამდენადმე უფრო რთულია. ამ შემთხვევაში მარცხენა ხელი მარცხენა ფეხის თითებს მოჰკიდეთ, ხოლო მარჯვენა ხელი — მარჯვენა ფეხის თითებს.

პოზა „თავი მუხლთან" მხოლოდ უზმოზე სრულდება.

**ეფექტი.** ეს პოზა ააქტიურებს მზის წნულს. აადვილებს საჭმლის მონელებას. იგი ძალიან სასარგებლოა მუცლის ჭვალის დროს. მოხრილი ზურგით დამჯდარი პოზის ყველა უპირატესობა შეიძლება ამ პოზასაც მივაწეროთ.

**დაწოლილი დაყრდნობა**

(სურ. 2)

**მეთოდი.** დაწექით მუცელზე, ხელები მხრების ქვეშ დაიწყვეთ, როგორც კობრის პოზაში, სუნთქვა შეაკავეთ მუცლის ღრუში. მთელი ტანი გაამაგრეთ, დაეყრდენით ფეხის თითებს. ასწიეთ ტანი ხელების გამართვის საშუალებით. მთელი ტანი თავიდან ფეხებამდე ფიცარივით სწორი უნდა იყოს, იატაკს მხოლოდ ხელები და ფეხის თითები ეყრდნობა. შემდეგ



სურათი 2.

ხელები იდაყვებში მოხარეთ და დაუშვით ტანი. აწევა რამდენჯერმე გაიმეორეთ, შემდეგ ამოისუნთქეთ და ნელა მოადუნეთ.

**ეფექტი.** ეს პოზა ხელების, მხრებისა და მკერდის კუნთებს ავითარებს, აძლიერებს ფეხის თითებსა და ტერფებს, აფართოებს გულმკერდს, რითაც ზრდის სასუნთქ მოცულობას.

**აქლემის პოზა (უსტრასანა)**

(სურ. 3).

**მეთოდი.** დაუშვით მუხლებზე, გადაიხარეთ უკან, სანამ ხელებით ფეხის თითებს ან კოჭებს მიწვდებით. ეს პოზა მშვილდის პოზას წააგავს, მაგრამ ამ დროს ფეხების ქვედა ნაწილები იატაკზე რჩება.

**ეფექტი.** ეს პოზა მოქმედებს ისევე, როგორც მშვილდისა და კალთის პოზები.

**კეთილშობილად ჯდომის პოზა (სურ. 4. ა, ბ)**

მოხერხებულად დაჯექით, ტანი სწორად გეჭიროთ. ორივე ქუსლი მჭიდროდ მიაბჯინეთ შორისს. უყურეთ ცხვირის ბოლოს. ხელებით იატაკს დაეყრდენით ან ისინი მუხლებზე დაიწყვეთ.

ისევე, როგორც ალმასის პოზა, ეს პოზაც მოსახერხებელია აზროვნებისა და სუნთქვითი ვარჯიშებისათვის.

**მორიელის პოზა (სურ. 5)**

**მეთოდი.** იმას, ვინც დიდხანს ასრულებდა თავზე დგომის პოზას, შეუძლია ამ პოზის შესრულებაც სცადოს.

ხელებითა და იდაყვებით იატაკს დაეყრდენით. ვარჯიში კედელთან შეასრულეთ. ასწიეთ ფეხები კედლის პირდაპირ და შეეცადეთ წონასწორობა შეინარჩუნოთ. ფეხები კედლიდან დაახლოებით 5 სანტიმეტრზე გეჭიროთ. რამდენიმე დღის ვარჯიშის შემდეგ, როდესაც წონასწორობას თავისუფლად შეინარჩუნებთ, მოხარეთ ფეხები ისე, როგორც სურათზეა. თუ შეძლებთ ფეხის თითები ან ტერფები თავზე დაიწყვეთ.

**ეფექტი:** მორიელის პოზა ისევე სასარგებლოა, როგორც თავზე დგომა, მშვილდისა და სანთლის პოზა.

**ალექსი იაკობაშვილი,**
**საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.**

(გაგრძელება იქნება)



სურათი 3.



სურათი 4. ა, ბ.



სურათი 5.

**გაგრძელება. იხ. „ლელო" 1987 წლის №№ 205-248; 1988 წლის №№ 3-147.**

რედაქტორი
**თ. ბაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8–9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05492